როგორ დავგეგმოთ საკლასო ექსკურსია

ავტორი თამარ მურუსიძე

ბავშვებს ძალიან უყვართ ექსკურსიებზე სიარული, არიან უფრო გახსნილი, უფრო აქტიური და უფრო ხალისიანი, ვიდრე საკლასო სივრცეში. ექსკურსიის დაგეგმვა ისეთივე შრომატევადია, როგორც რომელიმე სასწავლო ერთეულის, ან თუნდაც გაკვეთილის დაგეგმვა. მოითხოვს მიზნის განსაზღვრას, გეგმის შემუშავებას, გასართობი და შემეცნებითი აქტივობების დაგეგმვას, მოსწავლეთა ასაკობრივი ჯგუფისა და ინტერესების გათვალისწინებასა და გარემოში ადაპტირებას. მოსწავლეთა ჩართვა ექსკურსიის დაგეგმვასა და განხორციელებაში ძალიან მნიშვნელოვანია.

სწორედ ხალისიანი ექსკურსიის დაგეგმვის საჭიროებების განსაზღვრით დავიწყე მე-6 კლასში სასწავლო ერთეულის მოქმედებები ათწილადებზე სწავლება. ბავშვებთან ერთად ვიმსჯელეთ, რა არის საჭირო ექსკურსიის მოსაწყობად, ისე, რომ ყველა მონაწილე კმაყოფილი იყოს. მსჯელობის შემდეგ მათ გავაცანი კომპლექსური დავალების პირობა და სამიზნე ცნება. განვუმარტე, რომ საკითხების შესწავლის შემდეგ შეძლებდნენ ექსკურსიის საერთო ხარჯისა და თითოეული მონაწილის ფინანსურ წილის განსაზღვრას.

უკვე დამკვიდრდა სწავლა სწავლებაში კომპლექსური დავალება, როგორც სასწავლო ერთეულის შემაჯამებელი დავალება, რომლის მიხედვითაც მოსწავლე ქმნის შემოქმედებით პროდუქტს. კომპლექსური დავალება მოიცავს ცოდნის სამივე კატეგორიას – დეკლარატიულს, პროცედურულს და პირობისეულ ცოდნას. ორიენტირებულია გრძელვადიან მიზანზე და იქმნება კონკრეტულ საგნობრივ საკითხებთან/საკითხებთან დაკავშირებით. კომპლექსური დავალების პირობა მათემატიკის კათედრაზე მე და ჩემმა კოლეგამ შევიმუშავეთ და პარალელურ კლასებში განვახორციელეთ. სწავლების დრო, მიზნები, საკითხები ერთნაირად დავგეგმეთ. აქტივობები, ცხადია, განსხვავებული გვქონდა. შედეგით კი ორივე მასწავლებელი კმაყოფილი დარჩა, რადგან მოსწავლეებმა ინტერესით შეასრულეს მათთვის ნაცნობი კონტექსტის დავალება.

შეგახსენებთ, სასწავლო ერთეულის სამიზნე ცნება შესაბამისი მკვიდრი წარმოდგენებით, მოსწავლის მიერ ნაშრომში აუცილებლად წარმოსადგენი ცოდნა და უნარები და შეფასების კრიტერიუმები ერთმანეთთან ურთიერთკავშირშია, რაც აუცილებლად გასათვალისწინებელია სასწავლო ერთეულის დაგეგმვისა და წარმართვის თითოეულ ეტაპზე

სამიზნე ცნება	მკვიდრი წარმოდგენები	ნაშრომში ხაზგასმით წარმოაჩინე	მოსწავლეს შეუძლია
მოქმედებები რიცხვებზე	· არითმეტიკული მოქმედებები (მიმატება, გამოკლება, გამრაველება, გაყოფა, ახარისხება) მჭიდრო ურთიერთკავშირშია ერთმანეთთან; არითმეტიკული მოქმედებების თვისებების ცოდნა ხელს უწყობს	· რა მნიშვნელობა აქვს მოქმედებათა თანმიმდევრობის დაცვას გამოთვლების წარმოებისათვის. (რომელი	· კავშირების დადგენა არითმეტიკულ მოქმედებებს შორის და მათი თანმიმდევრობის დაცვა, · შეკრება/გამოკლების (და გამრავლება/გაყოფის) სტრატეგიების შერჩევა;

	გამოთველბის შესრულებას. გამოთვლების შესრულებისას აუცილებელია მოქმედებათა თანმიმდევრობის დაცვა. (მ.წ.9) · რიცხვების შეკრება/გამოკლებისა (და გამრავლება-გაყოფის) რამდენიმე სტრატეგია არსებობს; შედეგი არ არის დამოკიდებული სტრატეგიის არჩევაზე. (მ.წ.10) · ზოგიერთ სიტუაციაში ზუსტი გამოთვლებია საჭირო, ზოგიერთში კი, მიახლოებითი გამოთვლაც საკმარისია. (მ.წ.11)	მოქმედებაა უპირატესი)? · როგორ გვეხმარება არითმეტიკული მოქმედებათა თვისებების ცოდნა გამოთვლების წარმოებაში, არის თუ არა დამოკიდებული შედეგი სტრატეგიის შერჩევაზე? · როგორ გვეხმარება სტრატეგიის შერჩევა გამოთვლების წარმოებაში, როდის არის საჭირო ზუსტი გამოთვლები და რა შემთხვევაში მიახლოებითი გამოთვლა?	მოსწავლე აანალიზებს, რომ შედეგი არ არის დამოკიდებული სტრატეგიის არჩევაზე. · იმსჯელოს გამოთვლების წარმოების სიზუსტისა და ცდომილების შესახებ. მოსწავლეს შეუძლია მიახლოებითი გამოთვლა, დამრგვალება.

მოსწავლეებს გავაცანი კომპლექსური დავალების ბარათი, მოკლედ მოგითხრობთ დავალების პირობას და წარმოგიდგენთ ზოგიერთ ნამუშევარს. მოგითხრობთ იმ ემოციებზე, რომლებიც მოსწავლეთა შედეგებიდან გამომდინარე კომპლექსური დავალების პრეზენტაციისას მივიღე.

დავალების პირობა ასეთია: თანაკლასელებს ექსკურსიის მოწყობა უნდათ. მათ ექსკურსიაზე კლასის დამრიგებელი, ორი მშობელი და სკოლის ექიმი მიჰყვებათ. ასარჩევია მარშრუტი, დასადგენია მისი სიგრძე და მძღოლისათვის გადასახდელი თანხა. ასევე მოსწავლემ ჩამონათვალიდან უნდა აირჩიოს საგზალი და მედიკამენტები მონაწილეებისათვის, ისე, რომ ყველა მონაწილე კმაყოფილი იყოს და ხარჯი რაც შეიძლება ნაკლები გამოვიდეს. მოსწავლეს ევალება, მიიღოს გადაწყვეტილება ექსკურსიის დაგეგმვაში მოცემული პირობების გათვალისწინებით და დათვალოს ხარჯი.

მოსწავლეებს დეტალური ინსტრუქციის გარეშე უჭირთ მსგავს კომპლექსურ აქტივობებთან დაკავშირებული სამუშაო პროცესის ორგანიზება. ამიტომ კითხვების სახით შედგენილი კომპლექსური დავალების ბარათი მკაფიო ნაბიჯებით გაწერილ სამოქმედო გეგმას მოიცავს.

მოსწავლეებს დაევალათ, მოემზადებინათ დავალება რომელიმე საპრეზენტაციო პროგრამაში, ან ხელნაწერის სახით. ყველა მოსწავლის დავალება ერთ სივრცეში პადლეტის დაფაზე დავალაგეთ. რაც ძალიან მოსახერხებელი იყო წარდგენის დროს. გაგიზიარებთ ზოგიერთი მოსწავლის ნამუშევარს.

https://www.storyjumper.com/book/read/91801056/5faadb9959425#page/3

მოსწავლეებმა შეძლეს შეზღუდვების გათვალისწინებით ექსკურსიის დაგეგმვა და ეფექტურად წარმოადგინეს კომპლექსური დავალება. ეს განპირობებული იყო იმით, რომ მათ ჰქონდათ თავისუფალი გარემო, ნაცნობ კონტექსტზე დამოუკიდებლად და შემოქმედებითად გადაწყვეტილების მისაღებად. როგორც ფოტოებიდან ჩანს, ერთი და იგივე დავალება მოსწავლეებს სხვადასხვა გზითა და საკუთარი შეხედულებების გათვალისწინებით აქვს შესრულებული. განსაკუთრებით საინტერესო იყო პრეზენტაციის შემოქმედებითად წარდგენა და გასიტყვება. მრავალფეროვანი პრეზენტაციები იძლეოდა მსჯელობის ხაზის განვითარების საშუალებას. კითხვები, რომლებსაც მოსწავლეები ერთმანეთს უსვამდნენ ეხებოდა არა მხოლოდ ათწილადებზე მოქმედებებს, არამედ არჩეული გადაწყვეტილების დასაბუთებასა და კავშირებს სხვა ყოფით მაგალითებთან.

მე და ჩემმა კოლეგამ კომპლექსური დავალებების პრეზენტაციის შემდეგ სოლოტაქსონომიის გამოყენებით გავაანალიზეთ თითოეული მოსწავლის შედეგები.

უკუკავშირის მიცემისას ვცდილობდით, ერთად მიგვეგნო გაუმჯობესების გზებისთვის.

კომპლექსური შემოქმედებითი ხასიათის დავალებები ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას. მათი შესრულებისას ვითარდება საკითხის დამოუკიდებლად და შემოქმედებითი გზით გადაწყვეტის უნარი. მსგავსი დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეს, განივითაროს საკუთარი საგანმანათლებლო საქმიანობის დაგეგმვის, ინფორმაციასთან მუშაობისა და არასტანდარტულ სიტუაციებში გადაწყვეტილების მიღების უნარები. ამგვარი მიდგომა თითოეული მოსწავლის თვითრეალიზაციის საშუალებას იძლევა. მოსწავლეები უფრო მეტად აქტიური, ხალისიანი და დაინტერესებული არიან კომპლექსური დავალების შესრულების დროს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ეროვნული სასწავლო გეგმა
https://ncp.ge/ge/curriculum?subject=36&subchild=198

1. მათემატიკის გზამკვლევი კურიკულუმის შედგენისათვის. დამხმარე რესურსი მასწავლებლებისათვის. (მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით) ქეთი ცერცვაძე.
https://clck.ru/SkNrc